2024

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის წლიური (2024 წლის) ანგარიში

<u>სარჩევი</u>

მოკლე შეჯამება 2

შესავალი 4

ზოგადი პროგრესი 5

დეტალური პროგრესი 7

ამოცანა 1.1. - ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარება 7

ამოცანა 1.2. სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის ზრდა 11

ამოცანა 1.3. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და ახლაგაზრდების განვითარებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების/განახლების/განხორციელების პროცესში ინტეგრაციის გზით. 13

ამოცანა 1.4. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების საჭიროებების, პრიორიტეტების და რეკომენდაციების სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა 15

ამოცანა 2.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოების“ საკითხებზე 17

ამოცანა 2.2. კონფლიქტისა და მის შემდგომ სიტუაციებში სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა 19

ამოცანა 3.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ (მათ შორის დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოებისთვის ჯანმრთელობის, იურიდიულ და სამოქალაქო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა 25

ამოცანა 3.2. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სამეწარმეო პროგრამებში ჩართულობის გაზრდა 299

გამოწვევები და რეკომენდაციები 34

მოკლე შეჯამება

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022 – 2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №510 დადგენილებით დამტკიცებული გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა), წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მის მიმდებარედ მცხოვრები, დევნილი ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვას.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების, 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, განხორციელების შესახებ დეტალურ ინფორმაციას. ანგარიშის პროექტი განხილულ და შეთანხმებულ იქნა დარგობრივ სახელმწიფო უწყებებთან.

სამოქმედო გეგმის ამოცანების შედეგის ინდიკატორების განხორციელების ანალიზის მიხედვით, მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების საჭიროებების, პრიორიტეტების და რეკომენდაციების სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის, ჯანმრთელობის, იურიდიულ და სამოქალაქო სერვისებზე წვდომის ხელშეწყობის კუთხით. ასევე, კონფლიქტისა და მის შემდგომ სიტუაციებში სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პერსონალის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით.

სამოქმედო გეგმის 50 აქტივობიდან, 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გათვალისწინებული იყო 49 აქტივობის შესრულება. აღნიშნული აქტივობებიდან სრულად განხორციელდა 40 აქტივობა, ნაწილობრივ განხორციელდა 3 აქტივობა, მეტწილად განხორციელდა 1 აქტივობა, არ განხორციელდა 4 აქტივობა, შეჩერდა 1 აქტივობა.



საანგარიშო პერიოდში, განხორციელებულ აქტივობებს შორის აღსანიშნავია დევნილი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხი. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრში, უზრუნველყოფილ იქნა 781 სტუდენტის დაფინანსება, ხოლო 2024-2025 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 755 სტუდენტი.

ასევე, ხელშესახები პროგრესი დაფიქსირდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენის კუთხით. 2024 წელს შეხვედრები გამყოფ ხაზთან მდებარე 10-მდე სოფლის ადგილობრივ მოსახლეობასთან გაიმართა.

2024 წელს, გრძელდებოდა შეხვედრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარებისა და გამოწვევების, მათ შორის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების შედეგების გაზიარების, ასევე, მათი საჭიროებების გამოვლენისა და გაანალიზების მიზნით.

შესავალი

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022 – 2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №510 დადგენილებით დამტკიცებული გეგმა წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხოების სექტორში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ასევე სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალთა ეფექტიანი და მნიშვნელოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფას, მათთვის სათანადო სერვისებზე ხელმისაწვდომობასა და ეკონომიკურ გაძლიერებას.

აღნიშნული მიზნის შესაბამისად, სამოქმედო გეგმა აერთიანებს რვა ამოცანას, რომლის მისაღწევად განსაზღვრულია 50 აქტივობა.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თითოეული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია შემდეგი უწყება: 11 აქტივობაზე პასუხისმგებელ უწყებად განსაზღვრულია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; 8 აქტივობაზე პასუხისმგებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 7 აქტივობაზე პასუხისმგებელია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; 9 აქტივობაზე პასუხისმგებელია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შემდგომში სახელმწიფო მინისტრის აპარატი); 3 აქტივობაზე პასუხისმგებელია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; 10 აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; 3 აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური; 3 აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; 1 აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს გენერალური პროკურატურა; 1 აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია პასუხისმგებელია - 1 აქტივობის განხორციელებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 2 აქტივობაზე; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 1 აქტივობაზე; ა(ა)იპ - პროფესიული უნარების განვითარების სააგენტო პასუხისმგებელია - 1 აქტივობის განხორციელებაზე; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 1 აქტივობაზე; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია პასუხისმგებელია - 1 აქტივობის განხორციელებაზე.

წინამდებარე მონიტორინგის წლიური ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2024 წლის 1 იანვრი 31 დეკემბრის პერიოდში.

მონიტორინგის ანგარიში შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის კოორდინირებით, დარგობრივი სახელმწიფო უწყებებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით განსაზღვრულ წლიური ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან.

ზოგადი პროგრესი

როგორც აღინიშნა, სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის გაძლიერებას, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვას, ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციას, პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მათი საჭიროებების გათვალისწინებასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში მათი როლის გამოკვეთას.

მოქმედების სფერო I: ქალთა მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზანი 1 გულისხმობს, მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში ქალთა (მათ შორის გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე), წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის ამაღლებას. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ამოცანებს: 1.1; 1.2; 1.3 და 1.4.

აღნიშნული მიზნის ქვეშ არსებული ამოცანა 1.1, 1.2, 1.3. და 1.4-დან მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება 1.1. და 1.4 ამოცანების ფარგლებში არსებული აქტივობების განხორციელების კუთხით. კერძოდ, ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების საჭიროებების, პრიორიტეტების და რეკომენდაციების სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშესაწყობად დაგეგმილი აქტივობების განხორციელების კუთხით.

მოქმედების სფერო II: ძალადობის აღმოფხვრა, პრევენცია

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზანი 2 გულისხმობს, ქალებზე და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის (მათ შორის სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებული რისკების)

აღმოფხვრისა და პრევენციის ხელშეწყობას. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ამოცანა 2.1.-სა და 2.2-ს.

აღნიშნული მიზნის ქვეშ არსებული 2.1. და 2.2 ამოცანების განხორციელების მიმართულებით, დაფიქსირდა პროგრესი.

2.1 ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში, კონფლიქტისა და მის შემდგომ სიტუაციებში სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირების, ასევე, რეპროდუქციის საკითხებზე ინფორმაცია მიეწოდათ და ცოდნა გაუღრმავდათ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ქალებსა და გოგონებს. ხოლო, შერჩეულ საჯარო სკოლებში დაიწყო საგნის „სამხედრო საქმე“ და „თავდაცვა და უსაფრთხოება“ სწავლება.

2.2 ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების უმეტესობა განხორციელდა სრულად. ხაზგასასმელია, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი“-ს დამტკიცება, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლეთა და გენდერული მრჩევლების გადამზადების ინტენსივობა.

მოქმედების სფერო III: ქალთა გაძლიერება და დაცვა

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზანი 3 გულისხმობს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების და გოგოების საჯარო სერვისებზე მისაწვდომობის გაზრდას და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებას. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ამოცანა 3.1-სა და 3.2-ს.

აღნიშნული მიზნის ქვეშ არსებული 3.1. და 3.2 და ამოცანების შესრულებაში დაფიქსირდა პროგრესი.

3.1 ამოცანით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებაში მნიშვნელოვანი პროგრესი უკავშირდება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის სამოქალაქო სერვისებზე წდომის გაუმჯობესებას.

3.2. პროგრესია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სამეწარმეო პროგრამებში ჩართულობის გაზრდის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქტივობების განხორციელების კუთხით.

დეტალური პროგრესი

ამოცანა 1.1. - ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარება.

ამოცანა 1.1.	ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარება				
	გადაწყვეტილების მიმღებ	გადაწყვეტილების მიმღებ	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1	პოზიციებზე მყოფ ქალთა პროცენტული მაჩვენებლი კაცებთან თანაფარდობით	პოზიციებზე მყოფ ქალთა პროცენტული მაჩვენებლი კაცებთან თანაფარდობით	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 33%; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 17.3%;	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: 40%; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაზრდილია მინიმუმ 2%-ით	საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

საანგარიშო პერიოდში, ფიქსირდება პროგრესი 1.1.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის კუთხით. რაც დასტურდება უსაფრთხოების სექტორში, ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის საკითხებზე შემუშავებული დოკუმენტების რაოდენობით, აღნიშნული პოლიტიკის იმპლემენტაციის მაჩვენებლითა და დასაქმებულ ქალთა სტატისტიკის გაუმჯობესებით.

პროგრესი - აქტივობის განხორციელების დონე და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი 5 აქტივობიდან, 1.1.1, 1.12, 1.1.3, 1.1.4 აქტივობები შესრულდა სრულად. 1.1.5 აქტივობა არ განხორციელებულა.

სრულად განხორციელებული აქტივობები უკავშირდება სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოებასა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება/განახლებას.

ამოცანის აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა სამინისტროები, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

აქტივობა 1.1.1. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში ხელმისაწვდომია შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: პოლიტიკური თანამდებობის პირები - სულ 4, მათ შორის 2 ქალი (50%). პირველი რანგის მოხელეები - სულ 5, მათ შორის 4 ქალი (80%); მეორე რანგის მოხელეები: პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე - სულ 5, მათ შორის 5 ქალი (80%); მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სულ 5, მათ შორის 3 ქალი (60%). მესამე რანგის მოხელეები: პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სულ 5, მათ შორის 3 ქალი (60%); მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სულ 11, მათ შორის 9 ქალი (81.80%). ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები - სულ 3, მათ შორის 1 ქალი (33%). სულ : დასაქმებული - 38, მათ შორის 26 ქალი (68%).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემა შექმნილია. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოების სისტემიზაციის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა „თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების დამუშავების წესი“. 2024 წლის განმავლობაში, თავდაცვის სამინისტროში განხორციელდა მონაცემების დამუშავება შემდეგი პარამეტრებით: თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების გენდერულად სეგრეგირებული მაჩვენებლები თანამდებობრივ და წოდებრივ ჭრილში; სამოქალაქო ოფისში დასაქმებული პროფესიულ საჯარო მოხელეთა სქესისა და პოზიციის (მენეჯერული, არამენეჯერული) ნიშნით. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეთა სტატისტიკა:

1. ქალი - 7%; კაცი - 93%;

2. ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებული: ქალი 1.6%; კაცი - 98.4%.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა სტატისტიკა:

1. ქალი - 54%; კაცი - 46%;

2. მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული: ქალი 41%; კაცი - 59%.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ფაქტობრივად დასაქმებული: ქალი 352, კაცი 337;

თანამდებობა: დიპლომატიურ პოზიციაზე ქალი 267, კაცი 271 და არადიპლომატიურ პოზიციაზე ქალი 85, კაცი 66;

იერარქიული რანგები: I რანგი (ქალი 17, კაცი 61), II რანგი (ქალი 57, კაცი 55), III რანგი (ქალი 258, კაცი 206), IV რანგი (ქალი 14, კაცი 10);

დიპლომატიური რანგი (დიპლომატიური თანამდებობებისთვის): უმაღლესი (ქალი 17, კაცი 73), უფროსი (ქალი 153, კაცი 132), უმცროსი (ქალი 64, კაცი 28), პირველადი (ქალი 13, კაცი 14);

კლასი (არადიპლომატიური თანამდებობებისთვის): I კლასი (ქალი 19, კაცი 32), II კლასი (ქალი 39, კაცი 11), III კლასი (ქალი 4, კაცი 0), VI კლასი (ქალი 1, კაცი 1), VIII კლასი (ქალი 1, კაცი 0), IX კლასი (ქალი 0, კაცი 1), X კლასი (0 ქალი, 1 კაცი), XI კლასი (0 ქალი, 1 კაცი)

2024 წლის მონაცემებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულ პირთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები ასეთია:

ქალი - 3944;

კაცი - 17547.

მათ შორის თანამდებობის პირი (სამმართველოს უფროსის მოადგილე და ზემოთ):

ქალი - 56;

კაცი - 838.

აქტივობა 1.1.2. ქალებისა და კაცების რეკრუტირების, კარიერული განვითარებისა და შენარჩუნების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება/განახლება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის კონცეფცია დამტკიცებულია და ამ ეტაპზე არ საჭიროებს განახლებას. განახლდა გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა და დებულება.

2024 წლიდან ამოქმედდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა რეკრუტირების მიზნით, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. 2025 წლიდან დაგეგმილია რეკრუტირების კონცეფციის განახლება, ქალთა რეკრუტირებაზე აქცენტირებით.

კარიერული განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის განმავლობაში პროექტის - „თავდაცვის სამინისტროში სამხედრო ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში, ქალ სამხედრო მოსამსახურეებთან ჩატარდა მასტერკლასები; ქალი სამხედროების პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2024 წელს განხორციელდა პროექტი „ლიდერები გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად“, რომლის ფარგლებშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების 15 მაღალი რგოლის ხელმძღვანელ პირთან ჩატარდა სემინარი.

აქტივობა 1.1.3 უსაფრთხოების სექტორისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ თანამშრომლების კარიერული განვითარების პროგრამებში (ტრენინგები, გაცვლითი ვიზიტები და სხვა) სეგრეგირებული მონაცემების წარმოება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სააღრიცხვო ერთიან საინფორმაციო ბაზაში არსებული მონაცემებით, პროფესიული მომზადება (კურსები) გაიარა 809 ქალმა და 3605-მა კაცმა; საქართველოში ჩატარებულ ტრენინგებსა და სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 455-მა ქალმა და 1254-მა კაცმა. საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩატარებულ ტრენინგებსა და სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 100-მა ქალმა და 275-მა კაცმა.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 39 ქალი და 24 კაცი თანამშრომელი მონაწილეობდა სხვადასხვა თემატურ ღონისძიებაში; საქართველოში გავლილი პროგრამების კურსდამთავრებულთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები: 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში: ქალი - 74, კაცი - 76. საქართველოს ფარგლებს გარეთ გავლილი პროგრამების კურსდამთავრებულთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები: 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში: ქალი - 39, კაცი - 24.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სისტემატიურად მიმდინარეობს საქართველოში და საზღვარგარეთ გავლილი პროგრამების კურსდამთავრებულთა (სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი) სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების დამუშავება.

2024 წლის იანვრიდან 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხზე ორგანიზებულ არაერთ ტრენინგსა და პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებში, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის გარეთ. ზემოაღნიშნულ პერიოდში, საქართველოში ორგანიზებულ საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 74.45% მამრობითი სქესის და 25.55% მდედრობითი სქესის წარმომადგენელმა, ხოლო ამავე წელს, საქართველოს ფარგლებს გარეთ გავლილი პროგრამების კურსდამთავრებულთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: მამრობითი სქესის წარმომადგენელი - 85.71% და მდედრობითი სქესის წარმომადგენელი - 14.29%

აქტივობა 1.1.4. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა დოკუმენტების შემუშავება/ განახლება/დამტკიცება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის N1/545 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის 2024-2027 წლების სტრატეგია. აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიაში გაწერილია სიტუაციური ანალიზი გენდერულ ჭრილში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის კონცეფცია დამტკიცებულია და ამ ეტაპზე არ საჭიროებს განახლებას. განახლდა გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა და დებულება.

აქტივობა 1.1.5. სამხედრო ატაშეობისთვის ქალების მომზადება/გადამზადება

აღნიშნული აქტივობა არ განხორციელებულა.

ამოცანა 1.2. სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის ზრდა.

ამოცანა 1.2.	*სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის ზრდა*			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1.	*ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში /ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში მონაწილე ქალების პროცენტული მაჩვენებელი*	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		18%	30%	საქართველოს საგარეო სამინისტროს ანგარიშები; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიშები

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

საანგარიშო პერიოდში, ფიქსირდება პროგრესი 1.2. ამოცანის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის მიმართულებით, რაც გამოიხატა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში მონაწილე ქალების პროცენტული მაჩვენებლის გაზრდაში.

პროგრესი - აქტივობის განხორციელების დონე და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები:

ამოცანა 1.2-ის ფარგლებში დაგეგმილი 3 აქტივობიდან აქტივობა 1.2.1. და 1.2.2. და 1.2.3. აქტივობები სრულად განხორციელდა.

აქტივობებების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს საგარეო სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

აქტივობა 1.2.1. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში გენდერულად დაბალანსებული მონაწილეობის განსაზღვრა

2024 წლის განმავლობაში ჩატარდა მოლაპარაკებების სამი რაუნდი, სადაც საქართველოს დელეგაციაში ქალთა ჩართულობა წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

4-5 აპრილი, მე-60 რაუნდი - მონაწილე დელეგაციის 11 წევრიდან 3 იყო ქალი, რაც პროცენტულად 27%-ს შეადგენს;

25-26 ივნისი, 61-ე რაუნდი - მონაწილე დელეგაციის 11 წევრიდან 4 იყო ქალი, რაც პროცენტულად 36%-ს შეადგენს;

5-6 ნოემბერი, 62-ე რაუნდი - მონაწილე დელეგაციის 13 წევრიდან 4 იყო ქალი, რაც პროცენტულად 31%-ს შეადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა განისაზღვრება თემატურად, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების კურატორი ან/და ხელმძღვანელი პირებით. შესაბამისად, საქართველოს დელეგაციაში მონაწილე ქალების რაოდენობა უშუალოდაა დამოკიდებული კონკრეტული რაუნდისას აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალების თუ კაცების დანიშნვაზე.

აქტივობა 1.2.2. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ტრენინგების ჩატარება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებზე

2024 წლის 25-27 აპრილს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით, კახეთში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ინკლუზიური სამშვიდობო პროცესები, მოლაპარაკებები და გენდერული პერსპექტივა“. ტრენინგს უძღვებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს იმ საჯარო უწყებების თანამშრომლებმა, რომლებიც მუშაობენ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესთან დაკავშირებულ თემატიკაზე (13 მონაწილე).

აქტივობა 1.2.3. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში გენდერულად დაბალანსებული მონაწილეობის განსაზღვრა

2024 წლის იანვრიდან 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წარმოდგენილ მონაწილეთა შორის ქალთა წილმა 20% შეადგინა.

ამოცანა 1.3. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და ახლაგაზრდების განვითარებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების/განახლების/განხორციელების პროცესში ინტეგრაციის გზით.

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

საანგარიო პერიოდში, 1.3 ამოცანის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრულ მაჩვენებლთან დასაახლოვებლად, დაფიქსირდა პროგრესი, რაც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების უფლებების დაცვის საკითხებზე პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში სპეციფიკური ჯგუფების მიერ დასმული პრიორიტეტული საკითხების ასახვის პროცენტულ მაჩვენებელს გამოხატავს.

ამოცანა 1.3.	*კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და ახლაგაზრდების განვითარებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების/განახლების/განხორციელების პროცესში ინტეგრაციის გზით*			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1.	*კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზარდების უფლებების დაცვის საკითხებზე პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში სპეციფიკური ჯგუფების მიერ დასმული პრიორიტეტული*	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		0%	მინიმუმ 40%	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიშები

	საკითხების ასახვის პროცენტული მაჩვენებელი			

პროგრესი - აქტივობის განხორციელების დონე და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები

ამოცანა 1.3-ის დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში,სრულად განხორციელდა 1.3.2 და 1.3.3 აქტივობები. 1.3.1. აქტივობა შეჩერებულია. ხოლო, 1.3.4-ს, აქტივობა არ განხორციელებულა.

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

აქტივობა 1.3.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებთან დიალოგი „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის“ შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილ სამთავრობო კომისიის მუშაობის ფარგლებში

2024 წლის მანძილზე, აქტივობა არ შესრულებულა.

აქტივობა 1.3.2 კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებთან დიალოგი შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის პროცესში

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აგრძელებდა ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრებს ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათ შორის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ასევე, ახალგაზრდებთან. ჩატარდა 10-მდე შეხვედრა. შეხვედრებზე, სხვადასხვა საკითებთან ერთად, განიხილებოდა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების პროცესი, სამშვიდობო ინიციატივების მიმდინარეობა, ქალებისა და ახალგაზრდების არსებითი ჩართულობისა და როლის გაზრდა სამშვიდობო პროცესში.

აქტივობა 1.3.3 გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და ახალგაზრდებთან შეხვედრების ჩატარება მათი საჭიროებების იდენტიფიცირების, შესწავლის და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიაზე განხილვის მიზნით.

მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩებოდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენა, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის და მინისტრის აპარატის წარმომადგენლების გამყოფ ხაზებთან მდებარე სოფლების მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციის გზით. 2024 წელს შეხვედრები გამყოფ ხაზთან მდებარე 10-მდე სოფლის ადგილობრივ მოსახლეობასთან გაიმართა.

1.3.4. დევნილთა განსახლებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სტრატეგიების სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში, დევნილ ქალებთან და ახალგაზრდებთან შეხვედრის ჩატარება და მათ მიერ წამოყენებულ პრიორიტეტულ საკითხთა გათვალისწინება

აქტივობა არ განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში ვერ მოესწრო მუშაობის დაწყება პოლიტიკის დოკუმენტებზე.

ამოცანა 1.4. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების საჭიროებების, პრიორიტეტების და რეკომენდაციების სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

საანგარიშო პერიოდში, პროგრესი განხორციელდა 1.4 ამოცანის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის მიმართულებით. შესაბამისად, ამოცანა სრულად განხორციელდა.

ამოცანა 1.4.	კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების საჭიროებების, პრიორიტეტების და რეკომენდაციების სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1.	*ქალებისა და ახალგაზრდების იდენტიფიცირებული საჭიროებები ასახულია სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში განსახილველ საკითხთა შორის*	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		საბაზისო მონაცემი'არ არსებობს.	მინიმუმ '30%	საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში

პროგრესი - აქტივობის განხორციელების დონე და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები

ამოცანა 1.4-ს დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში სრულად განხორციელდა ოთხივე აქტივობა.

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

აქტივობა 1.4.1. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების, მათი უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის შეხვედრების ჩატარება

2024 წლის განმავლობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ჩართული დიპლომატები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სახის შეხვედრებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, სადაც განიხილებოდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელებისა და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

აქტივობა 1.4.2. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (იპრმ) მონაწილეების საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ქალთა უფლებადამცველებთან, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებთან

2024 წელს, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში, ჩაატარდა 10-მდე შეხვედრა ქალთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, ასევე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარებისა და გამოწვევების, მათ შორის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების შედეგების გაზიარების, ასევე, მათი საჭიროებების გამოვლენისა და გაანალიზების მიზნით.

აქტივობა 1.4.3. სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების ჩატარება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა სულ მცირე 30 შეხვედრა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში (მათ შორის ორი შეხვედრა აფხაზეთის რეგიონში სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში (ASP) მოქმედ ორგანიზაციებთან), რომლის ფარგლებშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზი გაესვა სამშვიდობო/ნდობის მშენებლობის ინიციატივებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მნიშვნელობას. შედეგად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაცემული თანხმობის შესაბამისად განხორციელებულ

სამშვიდობო პროექტებსა და ინიციატივებს შორის 25%-ზე მეტი წარდგენილი იყო ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ან მოიცავდა ქალთა საკითხებს.

აქტივობა 1.4.4. „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება - მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერების საკითხებზე საკონსულტაციო პლატფორმის“ ფარგლებში შეხვედრების ჩატარება ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022 – 2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, ასევე, სამშვიდობო პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში, აგრძელებდა შეხვედრებს ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე, გამყოფ ხაზებთან მდებარე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სოფლებში მცხოვრებ ქალებთან ჩატარდა 10-მდე შეხვედრა.

ამოცანა 2.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოების“ საკითხებზე

ამოცანა 2.1.	კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და "ადამიანის უსაფრთხოების" საკითხებზე			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1.	*კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების ინფორმირების დონე "ადამიანის უსაფრთხოების" საკითხებზე*	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		0%	40%	გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევა "ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო"; სახალხო დამცველის ანგარიშები

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

საანგარიშო პერიოდში, პროგრესი განხორციელდა 2.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის მიზნით.

პროგრესი - აქტივობის განხორციელების დონე და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები

ამოცანა 2.1-ის გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში 2.1.1 2.1.2. 2.1.4 და 2.1.5. აქტივობები სრულად განხორციელდა, ხოლო 2.1.3 აქტივობა არ განხორციელდა.

აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

აქტივობა 2.1.1. საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, გოგოებთან და მათი ოჯახის წევრებთან

2024 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის, ასევე, ამ კუთხით არსებული დაცვის მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, გამართა შეხვედრები კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჟამში, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარქუშაანში, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოსა და საციხურში და ქ. ზუგდიდში, სოფელი განმუხურისა და სოფელი რუხის მოსახლეობის მონაწილეობით, გამყოფ ხაზთან მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათი ოჯახის წევრებთან. შეხვედრებს ჯამში 125 ადგილობრივი მოსახლე, მათ შორის 2 შშმ პირი დაესწრო.

აქტივობა 2.1.2. საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ასევე, საქართველოს მასშტაბით, რეგიონების შესაბამისად მცხოვრებ დევნილებთან და დევნილთა ჩასახლებებში

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრები ჩატარდა:

1. 2024 წლის 15 აპრილს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჟამში;

2. 2024 წლის 18 აპრილს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში;

3. 2024 წლის 14 ივნისს, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარქუშაანში;

4. 2024 წლის 30 ივლისს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოში;

5. 2024 წლის 9 სექტემბერს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურში;

6. 2024 წლის 13 აგვისტო, ფოთის დევნილთა ჩასახლებაში;

7. 2024 წლის 30 აგვისტო -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში.

აქტივობა 2.1.3. დევნილი ქალებისა და გოგოების საჭიროებების კვლევა, მათ შორის ძალადობის საკითხებზე ცნობიერების შესახებ

აქტივობა არ განხორციელებულა. საჭიროების კვლევის ჩატარების მიზნით გაგრძელდა მუშაობა დონორ ორგანიზაციებთან.

აქტივობა 2.1.4. ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

დედათა და ბავშვთა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, კიბოს სკრინინგის და აპვ ვაქცინაციის საკითხებზე გაიმართა 15 კომბინირებული საინფორმაციო შეხვედრა და აქცია პირველადი ჯანდაცვის ექიმების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრების და ადგილობრივი მთავრობის წამომადგენლების მონაწილეობით კახეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოს და გურიის რაიონში (მ.შ. ორგანიზებულ დაწესებულებებსა და ეთნიკურ უმცირესობათა პოპულაციაში).

2024 წლის „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რიგი საინფორმაციო-საგანმანათლებლო და სარეკლამო ღონისძიებები: ჯანმრთელობის ხელშეწყობის და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არსებული პრევენციული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, მომზადდა საინფორმაციო სახის ონლაინ ბანერები და განთავსდა საინფორმაციო, საგანმანათლებლო და შემეცნებითი სახის ვებ-გვერდებზე, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ. www.ambebi.ge; www.ipn.ge; www.amindi.ge; www.kvirispalitra.ge; www.palitravideo.ge; www.bpn.ge; www.ss.ge; www.marao.ge;

ამოცანა 2.2. კონფლიქტისა და მის შემდგომ სიტუაციებში სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა

ამოცანა 2.2.	კონფლიქტისა და მის შემდგომ სიტუაციებში სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა			
ამოცანის შედეგის	*სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირების*	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო

ინდიკატორი 2.2.1.	*საკითხებზე გადამზადებული უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი*	20%	60%	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები; საქართველოს პროკურატურის ანგარიშები; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშები.
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2.	*გადამზადებული გენდერული მრჩევლებისა და სამხედროების (მათ შორის სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო პერსონალის) პროცენტული მაჩვენებელი*	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		20%	60%	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშები

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

საანგარიშო წელიწადში, 2.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორების სამიზნე მაჩვენებლების შესრულების მიმართულებით დაფიქსირდა მნიშვნელოვანი პროგრესი.

პროგრესი - აქტივობის განხორციელების დონე და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები

2.2 ამოცანის ფარგლებში არსებული 12 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 9 აქტივობა.

აქტივობა 2.2.11 აქტივობა არ განხორციელებულა. ხოლო აქტივობა 2.2.8 და აქტივობა 2.2.12. განხორციელდა 50%-ით.

ამოცანის აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს გენერალური პროკურატურა, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

აქტივობა 2.2.1. უსაფრთხოების სექტორში სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფაქტების პრევენციასა და მათზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა ან/და გაუმჯობესება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტი, რომელიც, კომპეტენციის ფარგლებში, ავლენს სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების

არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტებს და ახდენს სათანადო რეაგირებას, მათ შორის, უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირებას. იგეგმება გენერალური ინსპექციის შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება სექსუალური შევიწროვების მსხვერპლზე ორიენტირებული პროცესის წარმოების მიზნით.

2024 წლის თებერვალში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის დახმარებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შემთხვევების გამოკვლევა მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომებით“. ტრენინგის მიზანი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის სექსუალური შევიწროების მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის გაცნობა. ჯამში გადამზადდა 20 თანამშრომელი (14 ქალი და 6 კაცი) სამხედრო პოლიციის, გენერალური ინსპექციისა და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები.

სექსუალური ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფაქტების პრევენციასა და მათზე ეფექტური რეაგირების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოქმედებს „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №6, რომლის თანახმად, შესაბამისი გადაცდომის ჩადენისათვის მოსამსახურეს ეკისრება დისციპლინური სახდელი. კერძოდ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველია ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 აგვისტოს №5 ბრძანების IV თავით განსაზღვრულია სამსახურში კოლეგებთან ურთიერთობა. ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

აქტივობა 2.2.2. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების შესახებ სატრენინგო მოდულის დანერგვა / განახლება უსაფრთხოების სექტორის თანამშრომელთათვის

გენდერული თანასწორობის და ქალებზე, მშვიდობასა და უსფრთხოებაზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1325 და შემდგომი რეზოლუციები, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლებები ინტეგრირებულია საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებების ოფიცერთა და სერჟანტთა საკარიერო სწავლების კურიკულუმებში და მათი სწავლება მიმდინარეობს მუდმივად (ამ ეტაპზე არ არის მოდულის განახლების საჭიროება).

2024 წლის განმავლობაში, UNSCR1325-ისა და ეროვნული სამოქმედო გეგმების შესახებ საკითხებზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 490-ზე მეტი თანამშრომელი (სამხედრო და სამოქალაქო პირები)

აქტივობა 2.2.3. სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლის წინა სავალდებულო ტრენინგების ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ მოდულის განახლება და დამტკიცება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, გენდერული თანასწორობის და ქალებზე, მშვიდობასა და უსფრთხოებაზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1325 და შემდგომი რეზოლუციები, ინტეგრირებულია სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების პროგრამებში (ამ ეტაპზე, საქართველოს თავდაცვის ძალები არ მონაწილეობს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში).

აქტივობა 2.2.4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების ორივე საფეხურის სასწავლო გეგმაში სამშვიდობო განათლებისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების ინსტიტუციონალიზაცია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლება ინტეგრირებულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე.

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების ორივე საფეხურზე თითოეულ ჯგუფთან ტარდება ორ-საათიანი ლექცია, რომლის მიზანია იუნკერებისთვის გენდერის ცნების და მასთან დაკავშირებული თემების გაცნობა, მათ შორის გენდერული სტერეოტიპების, გენდერული ძალადობის და გენდერული მეინსტრიმინგის მნიშვნელობის გააზრება თანამედროვე საზოგადოებაში და საერთაშორისო კონტექსტში.

აქტივობა 2.2.5. სამოქალაქო პირებისა და სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პროგრამებში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების ინტეგრირება

მოდული „გენდერი უსაფრთხოების სექტორში“ ინტეგრირებულია „უსაფრთხოების სექტორის საორიენტაციო პროგრამა“-ში, რომელიც ყოველწიურად ხორციელდება სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში.

გენდერული თანასწორობის და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე სწავლებები ინტეგრირებულია „მოხელის მენეჯერული უნარებისა“ და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების პროგრამაში“, რომლებიც ასევე რეგულარულად ხორციელდება სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში.

წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიის სერჟანტთა სამეთაურო მომზადების პროგრამებში ინტეგრირებულია ლექცია თემაზე: „გენდერი, სქესი, გენდერული როლებისა და სტერეოტიპების იდენტიფიცირება“.

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის პროგრამაში ინტეგრირებულია ლექცია „ორგანიზაციული ლიდერი და გენდერი“, რომელსაც 2024 წლის განმავლობაში დაესწრო 54 მსმენელი.

„თავდაცვის უსაფრთხოების უმაღლეს პროგრამა“-ზე ინტეგრირებულია ლექცია „გენდერი და ინკლუზია“.

2024 წლის იანვრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფუნქციონირებს თავდაცვის სამინისტროს ახალდანიშნული პროფესიული საჯარო მოხელეებისთვის გაცნობითი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ყველა ახალდანიშნული მოხელისთვის სავალდებულოა გენდერული თანასწორობის შესახებ ელექტრონული კურსის გავლა.

ადამიანის უფლებებზე, მრავალფეროვნებაზე, ინკლუზიასა და თანასწორობაზე და ასევე, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე კომპეტენციების გაღრმავება გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მენტორინგის პროგრამით.

აქტივობა 2.2.6. სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება გადასროლის წინა/შემდგომი მომზადებისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამაში

საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებისთვის შექმნილია/დანერგილია ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამა. ამჟამად აღნიშნული პროგრამა არ საჭიროებს განახლებას.

სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახში ძალადობის საკითხების სწავლება ინტეგრირებულია გადასროლისწინა მომზადების სასწავლო პროგრამაში. ამჟამად აღნიშნული პროგრამა არ საჭიროებს განახლებას.

აქტივობა 2.2.7. გენდერული მრჩევლების გადამზადება განახლებული სამუშაო აღწერილობის მიხედვით

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით, 2024 წელს გადამზადდა 40 გენდერული მრჩეველი.

აქტივობა 2.2.8. მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებზე

2024 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში ჩატარდა 1 (ერთი) შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი

საპოლიციო დანაყოფების ქალი წარმომადგენლები. მათ მიეწოდათ ინფორმაცია უსაფრთხოების სექტორში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობასა და ეფექტიანობაზე.

აქტივობა 2.2.9. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალებისა და გოგოებისთვის პოლიციასა და სპეციალურ ქვედანაყოფებთან შეხვედრების ჩატარება

2024 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, შიდა ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან 5 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრების მონაწილეებს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ღონისძიებებზე, ქვეყანაში არსებულ ძალადობისგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებსა და პოლიციისადმი მომართვის გზებზე მიეწოდათ ინფორმაცია.

2024 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის, დუშეთისა და შიდა ქართლის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან 5 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე, შემაკავებელი ორდერის ფარგლებში მსხვერპლთა დაცვის, მათ შორის ელექტრონული სამაჯურის გამოყენების მექანიზმებზე, ასევე, სახელმწიფო სერვისებისა და უფასო იურიდიული დახმარების საკითხებზე.

აქტივობა 2.2.10. საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საკითხებში

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საკითხები ინტეგრირებულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ევროპის საბჭოს HELP-ის სასწავლო კურსში. 2024 წელს, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების ორი ჯგუფისთვის განხორციელდა სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებში გადამზადდა 40 პროკურორი, პროკურატურის 1 გამომძიებელი და 1 მრჩეველი. გარდა ზემოაღნიშნულისა, ანალოგიურ საკითხებზე საანგარიშო პერიოდში წარმატებით განხორციელდა მენტორინგის პროგრამის მესამე ეტაპი „ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებისადმი“, რომელშიც მონაწილეობდა 10 პროკურორი. პროგრამის ფარგლებში, პროკურორებმა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, გაიარეს ევროპის

საბჭოს HELP-ის სასწავლო კურსი, „ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა“, სადაც ასევე ინტეგრირებულია ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საკითხები.

აქტივობა 2.2.11. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საკითხებში

აღნიშნული აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 2.2.12. სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების გადამზადება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საკითხებში

2024 წლის 1-2 აგვისტოს, თბილისში, (1 ტრენინგი) გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით და დიდი ბრიტანეთის მთავრობის დაფინანსებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი და საქართველოს კონტექსტი“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ, თბილისსა და რეგიონებში მოქმედი საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი.

მიმდინარეობს სსიპ -იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების გადამზადება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საკითხებში.

ამოცანა 3.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ (მათ შორის დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოებისთვის ჯანმრთელობის, იურიდიულ და სამოქალაქო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა

ამოცანა 3.1.	*კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ (მათ შორის დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოებისთვის ჯანმრთელობის, იურიდიულ და სამოქალაქო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა*			
ამოცანის შედეგის	*სახელმწიფო უფასო იურიდიული მომსახურებით მოსარგებლე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ*	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო

ინდიკატორი 3.1.1.	*ქალთა პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია*	ქალი 5.9%;	ქალი 11.8%;	წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

3.1 ამოცანის შესრულების მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პროგრესი. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან (მათ შორის ქალებთან), სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით, ჩატარდა ინტენსიური საინფორმაციო და მხარდამჭერი შეხვედრები.

პროგრესი - აქტივობის განხორციელების დონე და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები

ამოცანა 3.1-ის ფარგლებში არსებული აქტივობებიდან, აქტივობა 3.1.3. 3.1.4. 3.1.5. და 3.1.6. სრულად განხორციელდა.

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

აქტივობა 3.1.1. სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ უფასო საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება საქართველოს მასშტაბით, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე

1. 2024 წლის 25 იანვარი ქ. ოზურგეთი, ბიუროს შენობაში, ქალები სოფელ შემოქმედი;

2. 2024 წლის 21 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასაკირალში;

3. 2024 წლის 21 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში;

4. 2024 წლის 25 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში;

5. 2024 წლის 25 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში;

6. 2024 წლის 28 თებერვალს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში;

7. 2024 წლის 19 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ხიბულაში;

8. 2024 წლის 20 მარტს, ხომის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში;

9. 2024 წლის 21 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურში;

10. 2024 წლის 25 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონში;

11. 2024 წლის 27 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარიატაში;

12. 2024 წლის 5 აპრილს, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანაში;

13. 2024 წლის 10 აპრილს, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ნოქალაქევი;

14. 2024 წლის 12 აპრილს, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ხორში;

15. 2024 წლის 15 აპრილს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჟამში (გამყოფი ხაზი);

16. 2024 წლის 18 აპრილს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში (გამყოფი ხაზი);

17. 2024 წლის 16 აპრილს, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში;

18. 2024 წლის 14 ივნისს, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარქუშაანში (გამყოფი ხაზი);

19. 2024 წლის 30 ივლისს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოში (გამყოფი ხაზი);

20. 2024 წლის 9 სექტემბერს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურში (გამყოფი ხაზი);

21. 2024 წლის 13 აგვისტო, ფოთის დევნილთა ჩასახლების პირველ ფლიგელში;

22. 2024 წლის 13 აგვისტო, ფოთის დევნილთა ჩასახლების მეორე ფლიგელში;

23. 2024 წლის 30 აგვისტო -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში (გამყოფი ხაზი).

აქტივობა 3.1.2. ლოკალიზაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით სამეგრელო - ზემო სვანეთის, იმერეთსა და შიდა ქართლის რეგიონებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვისა და გადაწყვეტისათვის შეხვედრების ჩატარება

ლოკალიზაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით 2024 წელს, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ეგიდითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, შიდა ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან 5 ინტერაქტიური შეხვედრა გაიმართა.

აქტივობა 3.1.3. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში „მობილური იუსტიციის სახლის“ პროექტის განხორციელება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სსიპ - იუსტიციის სახლი სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში არსებული მობილური იუსტიციის სახლის მეშვეობით, მომსახურებას უწევდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებს - გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს: ლია, ქვემო ჭალა, შინდისი, პერევი. ასევე, მერეთის, განმუხურისა და ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა, განსაზღვრულ დღეებში ესარგებლა სსიპ - იუსტიციის სახლის 500-მდე სერვისით და მიეღო სრულფასოვანი მომსახურება.

აქტივობა 3.1.4. დევნილთა ჩასახლებებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში პანდემიის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის განთვსება ვებ. გვერდზე

პანდემიის შესახებ ინფორმაცია ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე თავსდებოდა ვებ გვერდზე www.stop.cov.ge

აქტივობა 3.1.5. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში სამედიცინო ამბულატორიების მოწყობა/აღჭურვა, სამედიცინო პერსონალითა და პირველადი სამედიცინო საშუალებების უზრუნველყოფით

აშენდა/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 ამბულატორიას ზუგდიდის, საჩხერისა და გორის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე.

აქტივობა 3.1.6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში

შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, გრძელდებოდა ჯანდაცვის რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანი განხორციელება, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრებ პირებს სამედიცინო მომსახურეობას უფასოდ აწვდის. საანგარიშო პერიოდში რეფერალური პროგრამით ჯამში ისარგებლა 1798 ადამიანმა, მათ შორის 891 - მა ქალმა (50%). საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა 64 შემთხვევა ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის. ხოლო რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 848 შემთხვევა.

ამოცანა 3.2. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სამეწარმეო პროგრამებში ჩართულობის გაზრდა

ამოცანა 3.2	*კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) მცხოვრები ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სამეწარმეო პროგრამებში ჩართულობის გაზრდა*			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1	*პროფესიული განათლების, სახელოვნებო, მეწარმეობის განვითარების პროგრამებით მოსარგებლე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების მაჩვენებელი*	**საბაზისო - 2021 წელი**	**სამიზნე -2024 წელი**	**დადასტურების წყარო**
		პროგრამებით მოსარგებლე 42% ქალი	პროგრამებით მოსარგებლე 50% ქალი	წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.2	*ეკონომიკურ/ სოფლის მეურნეობის საგრანტო პროგრამებში და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი*	**საბაზისო - 2021 წელი**	**სამიზნე - 2024 წელი**	**დადასტურების წყარო**
		45%	50%	წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.3	კულტურული და სპორტული პროგრამებით მოსარგებლე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი	**საბაზისო - 2021 წელი**	**სამიზნე - 2024 წელი**	**დადასტურების წყარო**
		0%	**50%**	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ანგარიშები

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.4	*გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ჩართულობის პროცენტული მაჩვენებლის ზრდა*	**საბაზისო - 2021 წელი**	**სამიზნე - 2024 წელი**	**დადასტურების წყარო**
		არ არსებობს	მინიმუმ 30%	წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

3.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორების სამიზნე მაჩვენებლებთან მიახლოების კუთხით, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პროგრესი. შესაბამისად, ამოცანა სრულად განხორციელდა.

პროგრესი - აქტივობის განხორციელების დონე და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები

ამოცანა 3.2-ს ფარგლებში არსებული აქტივობებიდან, სრულად განხორციელდა 10 აქტივობა. ხოლო ნაწილობრივ განხორციელდა აქტივობა 3.2.8.

აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

აქტივობა 3.2.1. დევნილი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების დაფინანსება

1. 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება მიენიჭა 192 პირს, რომლებმაც ბოლო ორი წელი ისწავლეს და სრული ზოგადი განათლება მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერირიტორიებზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრში

უზრუნველყოფილია 781 სტუდენტი, ხოლო 2024-2025 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 755 სტუდენტი.

2. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წელის პირველი და მეორე სემესტრის სწავლის საფასურით უზრუნველყოფილია 1520 სტუდენტი.

3. სოციალური პროგრამის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წელს სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა:

- 50 სტუდენტმა, რომლებიც ბოლო სამი წელი სწავლობდნენ და დაამთავრეს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლები;

- 230 სტუდენტმა, რომლებიც ბოლო ორი წელი სწავლობდნენ და დაასრულეს სწავლა ოკუპირებულ ტერიტორიებზე; ან 2008 წლის ომამდე ბოლო ერთი წელი სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და სწავლა დაასრულეს საქართველოს სხვა ტერიტორიაზე; ან 2008 წლის ომამდე ოჯახებთან ერთად მუდმივად ცხოვრობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და სწავლა დაასრულეს საქართველოს სხვა ტერიტორიაზე.

„სკოლის შემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამაზე“ 2024 წელს ჩაირიცხა 18 პირი.

აქტივობა 3.2.2. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილი ქალებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების ხარჯის დაფარვა

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 261 ბენეფიციარი, საიდანაც 122 იყო ქალი.

აქტივობა 3.2.3. დაბრუნებული დევნილი მიგრანტი ქალების დაფინანსება შემოსავლის წყაროს გაჩენის, დასაქმებისა და თვითდასაქმების მიზნით

საანგარიშო პერიოდში, სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს განცხადებით მომართა 1304 ბენეფიციარმა საიდანაც 722 არის ქალი. სოციალური ინიციატივების დაფინანსების და ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების კომპონენტზე გამოვლინდა 177 გამარჯვებული ბენეფიციარი.

აქტივობა 3.2.4. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების შეღავათიან აგრო და მცირე ბიზნეს გრანტებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით შეხვედრების ჩატარება

01.01.2024-31.12.2024-ს პერიოდში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს საექსტენციო-საკონსულაციო ცენტრების მიერ, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, განხორციელდა 35 შეხვედრა, რომელთა ფარგლებშიც კონსულტაცია გაეწია 160 ქალს.

აქტივობა 3.2.5. სამეწარმეო და ბიზნეს უნარ-ჩვევებში საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარება დევნილი ქალებისთვის

2024 წელს მიკრო გრანტების პროგრამა არ განხორციელებულა.

აქტივობა 3.2.6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისთვის მცირე ბიზნეს-პროექტების დაფინანსება სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში მოქმედი ფინანსური მექანიზმებით

სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩებოდა გამყოფი ხაზის გასწვრივ ვაჭრობის წახალისება და ბიზნეს-პროექტების მხარდაჭერა სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში მოქმედი ფინანსური მექანიზმის - მშვიდობის ფონდის მეშვეობით. 2024 წელს ჩატარდა მშვიდობის ფონდის რიგით მე-5 საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დარეგისტრირდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან 62 ბიზნეს - განაცხადი, ხოლო კომისიის მიერ გამოვლინდა 16 გამარჯვებული პროექტი. გამარჯვებულ პროექტებში ჩართულ ბენეფიციართა 39% ქალია.

აქტივობა 3.2.7. ტექნიკურ სფეროებში უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისათვის ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება და გადამზადება

გამყოფ ხაზთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერებისათვის არსებული ყოველწლიური ინიციატივის - „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი“ - შემდგომი განვითარების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ინტენსიური მოლაპარაკებები გამართა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლებთან. შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება ტრენინგ-კურსის მონაწილე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური აქტივობისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებთან ერთად, მათი მცირე სამეწარმეო გრანტებით დახმარების თაობაზე. 2024 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრებმა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულმა 28-მა ქალმა გაიარა სასწავლო კურსი ქ. გორსა და ქ. ზუგდიდში. 2025 წელს მათ შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ თანმდევ საგრანტო კონკურსში.

აქტივობა 3.2.8. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები, დევნილი) ქალებისა და ახალგაზრდებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა.

2024 წელს შეიქმნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის კონცეფციის დოკუმენტის პირველადი ვერსია. დოკუმენტის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაეხმაროს სტუდენტების წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების განსაზღვრასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საპასუხო ღონისძიებების გატარებაში, რაც გაზრდის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას და შეამცირებს ბარიერებს სფეროში შემსვლელთათვის.

დოკუმენტის ამოქმედება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მისცემს საშუალებას ხელი შეუწყონ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების პროფესიულ განათლებაში ჩართულობას.

აქტივობა 3.2.9. გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის საკითხების პოპულარიზაცია, მათ შორის კლიმატის ცვლილებების შერბილებასთან დაკავშირებით, შეხვედრების ჩატარება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეორნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა 2024 წლის განმავლობაში, ბაღის აღმზრდელებისა და მეთოდისტებისთვის პირისპირ რეჟიმში გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში ჩაატარა ტრენინგი „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“. მასწავლებლებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: ბიომრავალფეროვნება ჩვენს გარშემო, წყლისა და ენერგიის დაზოგვა, ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ჩატარებული 4 ტრენინგის ფარგლებში 145 პირი გადამზადდა, მათგან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 23-მა პირმა. ასევე, სკოლის პედაგოგებისთვის დისტანციურად, Teams-ის პლატფორმის გამოყენებით, აჭარის, ქვემო ქართლის, იმერეთის და გურიის რეგიონის მასწავლებლებისთვის ჩატარდა 20-საათიანი ტრენინგი „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“. მასწავლებლებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: მდგრადი განვითარება, ბიომრავალფეროვნების დაცვა, წყლის რესურსების დაცვა და მდგრადი მართვა, ჰაერის დაცვა დაბინძურებისგან, ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი საფრთხეების შემცირება, მიწის მართვა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, სოფლის მეურნეობა, სურსათის უვნებლობა და ხარისხი. აჭარის, ქვემო ქართლის, იმერეთის და გურიის რეგიონებში 1030 მასწავლებელი გადამზადდა, მათგან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან აღნიშნულ ტრენინგს ეწრებოდა 8 პირი. ჯამში, 2024 წლის განმავლობაში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან, 6 შეხვედრის ფარგლებში, გადამზადდა 31 ადამიანი.

აქტივობა 3.2.10. კულტურის/შემოქმედებითი პროექტების/ღონისძიებების ჩატარება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისთვის და/ან მათი მონაწილეობით

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის „დოკუმენტური/სამეცნიერო-პოპულარული კინოს ხელშეწყობა“ შედეგად, 25 000 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ - და იქმნა ნათელი-ს პროექტი „ქართლის გული“. პროექტის ფარგლებში გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი, რომელიც გამყოფ ხაზთან მცხოვრები დევნილი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, ტრადიციულ, ისტორიულ წეს-ჩვეულებებს ასახავს და იქ მცხოვრები ოჯახების, ქალბატონების ყოველდღიურობაზე მოგვითხრობს. ფილმში მოსახლეობა თავად მოგვითხრობს საკუთარ თავგადასავლებს, ცხოვრების სირთულეებს, ასევე შემორჩენილ ტრადიციებს, კულტურულ ფასეულობებს, კულინარიულ თავისებურებებსა და სპორტულ აქტივობებს.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის - ,,დედაქალაქის პროფესიული თეატრები რეგიონებში - ხელშეწყობა საგასტროლო ხარჯებით“ შედეგად 7 870 ლარით დაფინანსდა პროექტი ,,ცხინვალის თეატრი დევნილი ბავშვებისთვის", რომლის ფარგლებშიც, სექტემბრის თვეში, სსიპ - ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გამყოფი ხაზის მიმდებარე 8 სოფელში, კერძოდ მეღვრეკისში, არბოში, ფლავისმანში, ნიქოზში, დვანში, ძევერაში, კოდასა და წეროვანში გამართა სპექტაკლი -„ოქროს წიწილა“. სპექტაკლს დაესწრო ადგილობრივი მოსახლეობა (1250 დამსწრე), მათ შორის ქალები და ბავშვები.

აქტივობა 3.2.11. მიზნობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ახალგაზრდებისთვის

განხორციელდა შემდეგი სპორტული აქტივობები:

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადის თამაშები“; „მხიარული სტარტები“ და „თავისუფლების თამაშები“. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ჯამში 40-ზე მეტ სოფელში. მათ შორის, რამდენიმე ღონისძიება ერთი და იმავე სოფელში. ბავშვთა და სასკოლო სპორტის ფედერაციის ორგანიზებითა და სამინისტროს დაფინანსებით გამართულ ღონისძიებებში/სპორტულ აქტივობებში ჯამში ჩართული იყო 260-ზე მეტი გოგონა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან.

გამოწვევები და რეკომენდაციები

2024 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის ანალიზმა აჩვენა, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში ქალთა მონაწილეობისა და წარმომადგენლობის (განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე) გასაძლიერებლად, აქტიურად ხორციელდება ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა და გაძლიერება. ამ პროგრესის გასამყარებლად და ქალთა ეფექტიანი მონაწილეობისა და წარმომადგენლობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები მუდმივად ხორციელდებოდეს.

აღსანიშნავია, რომ დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით, სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაზე მომუშავე სამთავრობო კომისიის ფარგლებში, დოკუმენტის შემუშავების საწყის ეტაპზე ჩატარდა არაერთი შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებთან. ეს შეხვედრები მიზნად ისახავდა მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების სტრატეგიაში სრულფასოვნად ინტეგრირებას. შედეგად, შეიქმნა სტრატეგიის პირველადი სამუშაო ვერსია. თუმცა, რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული სრულმასშტაბიანი ომის ფონზე რეგიონში არსებულმა ურთულესმა გარემომ და ახალი რეალობების წარმოშობამ საჭირო გახადა დოკუმენტისა და მისი შემუშავების ვადების გადახედვა, რათა იგი პასუხობდეს ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. რეკომენდებულია სტრატეგიაზე მუშაობის გაგრძელების პარალელურად, კვლავ განახლდეს კონსულტაციები კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებთან.